



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №17/18-2

მოსამართლე — მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 26 იანვრის №17 საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მაისის №--/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

-- -- საჩივარში აღნიშნავს, რომ ყოფილმა მეუღლემ გაუქურდა ბინა და სახლიდან წაიღო 10 000 ლარის ღირებულების ძვირფასი ნივთები, აგრეთვე, მისი ავადმყოფობის დროს ბანკიდან გამოიტანა მისი თანხა 630 აშშ დოლარი. -- -- უთითებს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით და ასევე -- რაიონის დ. -- მდებარე საზიარო სახლის გამიჯვნის მოთხოვნით, მიმართა -- რაიონულ სასამართლოს.

საჩივრის ავტორი -- -- მოსამართლეებს ადანაშაულებს მიკერძოებაში, აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- გააჭიანურა მისი ორივე საქმე და ერთი წელი აწვალა. ბოლო სხდომაზე მოითხოვა მოსამართლის აცილება. იგი უთითებს, რომ -- -- გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივარი დაეწერა -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს -- --, რომელიც -- -- შეთანხმდა და გამოიტანა მის დაუსწრებლად გადაწყვეტილება, რასაც ვეღარ გაასაჩივრებს. მისი თქმით, წაერთვა უფლება მოეთხოვა მოსამართლის აცილება.

საჩივრის ავტორი მოითხოვს აღუდგეს გასაჩივრების შესაძლებლობა და დაუბრუნდეს მისი თანხა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2017 წლის 05 აპრილს სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელის თქმით, ყოფილმა მეუღლემ - -- -- ის გაქურდა და სახლიდან მოპარა 9963 ლარის ღირებულების ძვირფასი ნივთები, ასევე 2006 წელს მისი ავადმყოფობის დროს, ბანკიდან გამოიტანა მისი კუთვნილი 630 აშშ დოლარი.

სასამართლომ ზეპირი განხილვის გარეშე, 2017 წლის 08 მაისის განჩინებით, საქმეზე დანიშნა მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 19 მაისს.

2017 წლის 19 მაისს საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა.

-- რაიონული სასამართლოს მოსამართლის -- -- 2017 წლის 15 ივნისის განჩინებით, -- -- სარჩელი -- -- მიმართ, თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე, დატოვებულ იქნა განუხილველად. განჩინების მიხედვით, განუხილველად დატოვების საფუძვლად მითითებული იყო მოსარჩელე - -- -- უარი მოპასუხის სხდომაზე არგამოცხადების გამო სხდომაში მონაწილეობაზე, აგრეთვე მისი უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობის - თავმჯდომარე - -- --, მოსამართლე - -- --, მოსამართლე - -- --, 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, 2017 წლის 15 ივნისის განჩინებაზე -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, -- -- კერძო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის გასაჩივრებული განჩინების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი

განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების პირველი მუხლის შესაბამისად, მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის თანახმად, იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად

დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

საქმის მასალებზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით (სარჩელის განუხილველად დატოვება) და მიიღო გადაწყვეტილება -- -- კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. სააპელაციო პალატის მიერ მიღებული განჩინების შეფასება მიეკუთვნება კანონიერების სფეროს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

ამასთან, რაც შეეხება საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ მიკერძოების საკითხს, საქმის მასალების შესწავლის შედეგად არ გამოკვეთილა. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგინილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტითა და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №17/18-2 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი